

**FOR THE ISSUE OF PROTECTION AND SURVIVAL OF NATIONAL  
MEMORY IN TAO-KLARJETI**

**ეროვნული მემსიერების დაცვა-გადარჩენის  
საკითხისათვის ტაო-კლარჯეთში**

**Roin Malakmadze**

PhD in history, Director/Chief Scientific Officer at Niko Berdzenishvili Institute  
of Batumi Shota Rustaveli State University  
Batumi, Georgia

ORCID: <https://orcid.org/0009-0005-9250-0524>  
599161660; roin.malakmadze@bsu.edu.ge

**Elza Phutkaradze**

Doctor of philology, Chief scientific researcher of Folklore, Dialectology and  
Emigrant literature Department of Batumi Shota Rustaveli State University Niko  
Berdzenishvili Institute

Batumi, Georgia  
ORCID: <https://orcid.org/0009-0000-9800-2183>  
593180196. elza.phutkaradze@bsu.edu.ge

**Naila Chelebadze**

PhD in history, Senior Researcher of Department of Ethnology and Sociological  
Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University  
Batumi, Georgia

ORCID: <https://orcid.org/0009-0003-2451-1753>  
599 28 61 28; Naila.chelebadze@bsu.edu.ge

**Abstract**

In the presented study, we will concentrate on several aspects of national memory in Tao-Klarjeti and the issue of its protection and survival. In particular, what kind of picture the state of the national gene code – the Georgian language shows in the consciousness of the historical Tao-Klarjeti people, because the most powerful factor of national identity, a solid marker, is the language. Also, it is interesting how much knowledge of the historical past is preserved in the memory of the Tao-Klarjetians, in their national consciousness. Ethnographic-folkloric realities of the Tao-Klarjetians will also be discussed here.

The analysis of the toponymic material should be taken into account when researching the mentioned issue. Moreover, they may have forgotten the Georgian language, but their memory has preserved the historical Georgian names of the place.

When discussing the research issue, we will be guided by the empirical material recorded by us during the expeditions over the years.

We believe that national memory implies not only the preservation of the past, but also the possibility of its existence and use in the future. This is an important problem which has been revealed in Tao-Klarjeti.

We think that the subjects presented for the analysis give us a more or less

correct idea about some aspects of the national memory in Tao-Klarjeti and the issue of its protection and survival.

**Keywords:** national memory, Tao-Klarjeti, protection, survival.

**როინ მალაკმაძე**

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი საქართველო, ბათუმი  
ORCID: <https://orcid.org/0009-0005-9250-0524>  
599161660; roin.malakmadze@bsu.edu.ge

**ელზა ფუტკარაძე**

ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი საქართველო, ბათუმი  
ORCID ID: 0009-0000-9800-2183  
593180196; elza.phutkaradze@bsu.edu.ge

**ნაილა ჩელებაძე**

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი საქართველო, ბათუმი  
ORCID ID: 0009-0003-2451-1753  
599 28 61 28; 597 87 03 77; Naila.chelebadze@bsu.edu.ge

**აბსტრაქტი**

წარმოდგენილ კვლევაში ტაო-კლარჯეთში ეროვნული მეხსიერების რამდენიმე ასპექტსა და მისი დაცვა-გადარჩენის საკითხზე გავამახვილებთ ყურადღებას. კერძოდ, ეროვნული გენის კოდი - ქართული ენის მდგომარეობა რა სურათს გვიჩვენებს ისტორიულ ტაო-კლარჯელთა ცნობიერებაში, რადგან ეროვნული იდენტობის ყველაზე მძლავრი ფაქტორი, მყარი ნიშანი ენაა. ასევე, ტაო-კლარჯელთა მეხსიერებაში, მათ ეროვნულ ცნობიერებაში რამდენადაა შემორჩენილი ისტორიული წარსულის ცოდნა. აქვე განხილული იქნება ტაო-კლარჯელთა ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული რეალიებიც.

აღნიშნული საკითხის კვლევისას გასათვალისწინებელია ტოპონიმიკური მასალის ანალიზიც. უფრო მეტიც, შეიძლება ქართული დავიწყებული ჰქონდეთ, მაგრამ მათ მეხსიერებას შემოუნახავს ადგილის ისტორიული ქართული სახელები.

საკვლევი საკითხის განხილვისას, ძირითადად, ჩვენ მიერ წლების განმავლობაში ექსპედიციების დროს ჩაწერილი ემპირიული მასალით ვიხელმძღვანელებთ.

როგორც ცნობილია, ეროვნული მეხსიერება არა მხოლოდ წარსულის დაცვა-შენახვას, არამედ მომავალში მისი არსებობისა თუ გამოყენების შესა-

ძლებლობასაც გულისხმობს. ეს კი, ტაო-კლარჯეთში მნიშვნელოვან პრობლემად იკვეთება.

საანალიზოდ წარმოდგენილი საკითხები, ვფიქრობთ, მეტ-ნაკლებ წარმოდგენას შეგვიქმნის ტაო-კლარჯეთში ეროვნული მეხსიერების ზოგიერთი ასპექტისა და მისი დაცვა-გადარჩენის საკითხის შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** ეროვნული მეხსიერება, ტაო-კლარჯეთი, დაცვა, გადარჩენა.

### **შესავალი**

როგორც ცნობილია, ისტორიული ბედუკუდმართობის გამო, დაიკარგა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი კუთხე ტაო-კლარჯეთი. ის კულტურულ-პოლიტიკურად ერთიანი ქართული სივრცის განსაკუთრებული ნაწილი იყო. მას ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩაუწერია. ბუნებრივია, რომ უცხო ენობრივ გარემოსა და განსხვავებული ზნე - ჩვეულებების არეალში დარჩენილ კუთხეში თანდათან მძლავრობს ასიმილირების პროცესი, ეროვნულის დავიწყება ან სრულად დაკარგვა. ჩვენდა საბედნიეროდ, ისტორიული საქართველოს ბევრ კუთხეში დღესაც ისმის ქართული ენა, დაცულია ქართული ადათ - წესები, ზნე-ჩვეულებები, დაკონსერვებულია არაერთი ყოფითი დეტალი. აღნიშნული საკითხი კვლევის საინტერესო და აქტუალური საკითხია, განსაკუთრებით დღეს, როცა კულტურათა თუ ფსევდოკულტურათა შორის დიალოგია. მართალია, ტაო-კლარჯეთში ეროვნული მეხსიერების სხვადასხვა მხარე გადარჩენილია, მაგრამ დღეს მთავარი პრობლემაა ის, როგორ შევძლებთ გადარჩენილის დაცვას, შენარჩუნებას. რა შეიძლება, ამ მიმართებით გაკეთდეს, რა კონკრეტული გზები თუ რეკომენდაციებია დასაძებნი.

### **მეთოდი**

სტატიაში გამოყენებულია ემპირიული მასალის დამუშავების, ანალიზის, სინთეზის, ისტორიულ-შედარებითი, აღწერითი, კომპლექსური-ინტენსიური კვლევის მეთოდები

### **შედეგები**

ჩვენ მიერ განხორციელებული კომპლექსური საველე-სამეცნიერო ექსპედიციების შედეგად გამოვლინდა, რომ ტაო-კლარჯეთის მოსახლეობა დღემდე ინარჩუნებს ყოფისა და კულტურის, მშობლიური ენის, ეროვნული ცნობიერების უმთავრეს ელემენტებს. მთავარია, გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება გადარჩენილ წეს-ჩვეულებათა სამომავლოდ შესანარჩუნებლად.

### **მსჯელობა**

ეროვნული მეხსიერების საკითხის გააზრებისათვის მნიშვნელოვანია ქართული ენის მდგომარეობის შესწავლა დაკარგულ ტერიტორიაზე. ტაო-კლარჯეთში ერთნაირად არაა დაცული ქართული ენა. ტაოში ამ მხრივ

უფრო რთულადაა მდგომარეობა. აქ ქართული ქუაზაგის ხეგმია დაცული, რამდენიმე - მაღალმთიან სოფელში. კლარჯეთის მხარეში კი შედარებით კარგადაა დაცული ქართული ენა. ქართული ენა იციან იმერხევის, ლივანის, მურღულისა და ზედა მაჭახლის სოფლებში. ამასთანავე, იქაც სოფლები იცლება, ახალგაზრდები ქალაქებში გადადიან საცხოვრებლად. ისტორიული ადგილები მოხუცთა ამარად რჩება. მძიმე საცხოვრისი პირობების გამო, ზამთრობით სოფელში დარჩენილებიც ჩამოდიან ბარად. რამდენიმე ოჯახი თუ რჩება ადგილზე. შესაბამისად, ეს ხელს უწყობს ქართული ენის თანდათანობით დავიწყების პროცესს. თუმცა მათი მეტყველება სახასიათოა. ბუნებრივია, მათი დიალექტური მეტყველება ერთგვარად დაკონსერვებულ ქართულს წარმოადგენს. აქაურთა მეტყველება ლექსიკურად საინტერესო ლინგვისტურ სურათს აჩვენებს. მართალია, ლექსიკურად მათი მეტყველება გაღარიბებულია, თუმცა დაცულია ქართული ენისათვის დამახასიათებელი არქაული ლექსიკური ერთეულები. მათ ყოველდღიურ მეტყველებაში აქტიურად გამოიყენება ის სიტყვა-თქმები, რომლებიც ძველი ქართული ენის კუთვნილებაა ოდენ და არ გვხვდება თანამედროვე ქართულში ან დიალექტებში. დავასახელებთ ზოგიერთს: აბლი, გარგანი, დაბურვა, სამა, ტაროსი, ნამსხმანი .... ქართული ენის უცხოენობრივ გარემოში მოქცევამ მათ მეტყველებაში დაამკვიდრა თურქული და თურქულის გზით არაბულ-სპარსულიდან შემოსული სიტყვები.

მნიშვნელოვანია, რომ დღემდე ქართული ენა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში მცხოვრებ ქართველთა ცნობიერებაში არის ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი ყველაზე მძლავრი ფაქტორი, ეროვნული კუთვნილების გამომხატველი არსებითი ნიშანი. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ისინი ქართველად, „გურჯად“ არ თვლიან მას, ვინც დაივიწყა დედის ენა - „ანა დილი“, ქართული ენა: „ღმერთმა ენა მოგცვა, შენი დილი, ის დიგივიწყნია, რაფერი საქმეა, ანა დილი დიგივიწყნია, რამე აღარ ხარ, რაფერი კაცი ხარ, გამოცლილხარ, ქართული აღარ დარჩენილხარ“ (ფუტკარაძე, 2013: 51); „ვინცხამ რომ გურჯიჯა არ იცის, იმა ქართულ კაცათ არ ვთვლით. ქართულმა მისი ანა დილინა იცოდეს“ (ფუტკარაძე, 1993:155). ენადავიწყებულ, ქართულის უცოდინარ პიროვნებას „გარცხილ“, „გადაბრუნებულ“, „გამოცლილ“ ან „გადათურქებულ“ ადამიანად მოიხსენებენ.

ფაქტია, რომ ქართული ენა ტაო-კლარჯეთში დაცულია მოხუცთა მეტყველებაში. ახალგაზრდებში კი ნაკლებად. ერთია, რომ თავმომწონეობენ ქართველობით, ეამაყებათ გურჯობა და მეორე მხრით, სამწუხარო რეალობასაც კარგად ხედავენ, წუხან ქართული ენის დაკარგვის გამო: „ჩვენ მოვკვდეთ, პატარები არ იციან, გურჯიჯა დეიკარგვის“ (ფუტკარაძე, 2013: 22). სამწუხარო ისიცაა, რომ ზოგიც გულგრილ დამოკიდებულებას გამოხატავს ქართული ენის მიმართ. დიახ, ასაკოვნები ცდილობენ შთამომავლობამ არ დაივიწყოს ენა: „მე ქართული თუ არ ვიქნები, მე ვერ დავდგები სხვაგან, ვერ გვევთხვები, ჩემმა ბავშვებმა იცოდენნა ქართული“ (ფუტკარაძე, 2013: 57). მაგრამ შერეული ოჯახი, არაქართველზე ქორწინება, საცხოვრისი ადგილების დატოვება, სოფლების დაცლა მცხოვრებთაგან, ურბანიზაციის მძლავრი პროცესი, ბუნებრივია, რომ ენის დავიწყების

ხელშემწყობი კომპლექსური ფაქტორებია. ასეთ ვითარებაში, რთულია იმის განსაზღვრა, რამდენად გადარჩება ისტორიულად ძირძველ ქართულ მიწა-წყალზე ქართული ენა.

ეროვნული მეხსიერება არა მხოლოდ წარსულის დაცვა-შენახვას, არამედ მომავალში მისი არსებობისა თუ გამოყენების შესაძლებლობასაც გულისხმობს. ეს კი ტაო-კლარჯეთში მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა. ის გარემოება, რომ ახალგაზრდებს საოჯახო ენის დონეზეც აღარ აინტერესებთ ქართული ენის ცოდნა-დაცვა, თავისთავად დიდი სატკივარი და საფრთხეა. დიახ, სამწუხარო გარემოებაა, რომ ქართული ენის პრაქტიკული ცოდნის აუცილებლობა იქ არ არის.

ენასთან შედარებით ყოფა-ცხოვრებით შემონახული სხვადასხვა ტრადიციები უკეთეს მდგომარეობაშია. ტრადიციები თუ ყოფა-ცხოვრებითი ნიუანსები, ჩვეულებად ქცეული მოქმედებაა და მეტ-ნაკლებად მძლავრობს.

ტაო-კლარჯელთა მეხსიერებაში, მათ ეროვნულ ცნობიერებაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ისტორიული წარსულის ცოდნა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კარგად იციან, რა ისტორიული ფესვებიდან არიან ამოზრდილნი. აშკარად, ღიად იტყვიან: „ძველად რომ ქრისტიანი ყოფილან, მერე მუსლიმანი გამხდარან, მარიობისთვის უჭუმალაი მიდიოდენ, ჩუმათ ელოცათ“ (ფუტკარაძე, 2013: 17).

ეროვნული მეხსიერების მნიშვნელოვანი გამოვლენაა ისიც, რომ ტაო-კლარჯეთში განსაკუთრებით ცოცხლობს თამარ მეფის სახელი და ღვაწლი. არაერთი ლამაზი თქმულება თუ ლეგენდაა დაცული და შემონახული მათი ზეპირსიტყვიერებით. უყვართ და უდიდესი კრძალვით იხსენიებენ „დიდ ანას, დიდ დედოფალს“ თამარს. თამარი ერთადერთი მეფეა, რომლის ხსოვნა დაცულია ისტორიული საქართველოს მცხოვრებთა მეხსიერებაში. უფრო მეტიც, ზოგჯერ დარღვეულია ისტორიული რეალობა და ყველაფერს თამარს უკავშირებენ. თამარის აგებულად თვლიან ტაძრებს, ხიდებს. ასე რომ, მათ ისტორიულ მეხსიერებას ყველაზე მყარად თამარ მეფის სახელი შემორჩა. იქ საყოველთაოდ გავრცელებულია სავრიათის წყლის გაყვანასთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემა. თითქმის ყველა მოგვიყვება თქმულება-გადმოცემის ნაცნობ სიუჟეტს: „თამარა დედოფალსა რუ უშენებია. ფარა გათავებია. ალთუნის შაშპალიები ქონია და ისინი გუუყიდა (ფუტკარაძე, 2014: 17) დედოფალს ძალიან გასჭირვებია კლდოვან ადგილას არხის გაყვანა. „უთქვია თამარ ქალსა: - ამას გუერთა პარხალი ქილისა (ეკლესია) ადვილი იყო. სავრიათის რუმა ათავებამდინ, წყალი წაგდებამდინ, კიბილი ტვინები გამაყრევნიაო“ (ფუტკარაძე, 1993: 178).

ასევე, იქაური ქართველები დიდი მოწიწებით ჰყვებიან პარხლის ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებულ გადმოცემებსაც: „თამარ დედოფალსა პარხალი ქილისა რომ გუუკეთებია, იმდენი დუუხარჯია, ოქრო აღარ დასჩომია. იქ ერთი აღა ყოფილა: - ნაწუელით მე დეგემველები, ნამუშავთ მიაართვი, მაგრათ ამუშავეო. ზე რითნა ჩეიტანო, მე არ გეგერევიო. დედოფალმა უთხრა: - ეგ ადვილია, მაგას მე მუაფერებო. მიცა ცულები ასკერებს, ღარები გააკეთეს. დასჭრეს წმინდა ჭერები, ამეილეს გული, ღარი გააკეთეს, დუუსართეს ერთმანეთზე. ეიდა, თიდან პარხალ ნაწუელი ჩამეიტანეს. იქ მოწუელა კაცმა, გამოდინდა პარხალში, რხის წყარომ ამაშენებია პარხალიო - უთქუამს თამარსა (ფუტკარაძე, 1993: 176).



პარხლის ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებული სხვა გადმოცემაცაა გავრცელებული: „ძნელი მისავალი ადგილი იყო, ასკერები დუწკარებია, თამარა ყოფილა, ქვები ქომოდან უზუბიდეიან, დაწკარებულ ასკერებ ხელიდან ხელში გუდუუცემიან ქვიები, ამფრა უუშენებია ქილისა პარხლისა“ (ფუტკარაძე, 2014: 32).

ერთ-ერთი გადმოცემით, ღვთისმოყვარული მეფის დაწყობილ ქვის ფილებსაც კი წმინდა ადგილად მიიჩნევენ და სასწაულებრივ ძალას მიაწერენ. ქუაბელები, ბალხელები, ხეველები და სხვებიც, ამ ქვებზე პატარებს ფეხს მოასმევიანებდნენ. სწამდათ, რომ ფეხით სიარულის დროს აღარ დაიღებოდნენ: „ძიძასთან ერთად თამარი ქუაბიდან წამოსულა. ძიძა მოხუცი ყოფილა, ღარჭი ახუჭებული ყოლია. მოღალულან გზაში. ბიჭი ძიძითვინ მუუცემია. თვითან ამ ქვების ერთმანებზე შეწკარება დაუწყია. ქუსის ნიშივით გუუკვათებია და იმაზე დუუწვენია ბიჭი... წასლიხან ბიჭი ქუებზე ფეხით შუუყენებია. ზაფხული ყოფილა. ქუა თბილი ყოფილა. დანადგამ ადგილზე ქუა გაცომებულა, დამბილებულა. თამარი გაჰკვირებულა, ზეზე უუწევია ბიჭი, ფეხის კვალი ქუაზე დარჩომილა. ქუა ისევ გაცივებულა. პაწა ბიჭის პატიტვანე ფეხების კვალი კარქა ჩანს დღესაც“ (ფუტკარაძე, 1993: 173). იქაურები დღესაც ყვებიან, პატარაობისას როგორ მოასმევიანებდნენ ნატერფალ ადგილს ფეხს. დღესაც სწამთ, რომ მადლიანი ქვებია, „თამარ დედოფლის დაწყობილიაო, ფეხების კვალი ღმერთის ნებით არის გაკეთებული და ადამის შვილებს ძალას აძლევსო“ (ფუტკარაძე, მალაყმაძე, 2014: 112).

ისტორიულ საქართველოშიც არაერთი წყაროს სახელი თამართან არის დაკავშირებული: „ჩიხორული თა არი, იქ არი დოდოფლი წყარო. ასე იტყვიან, რომ თამარ მეფეს დასვენების დროს წყალი უსვამს და იმითვინ ქვია დოდოფლი წყარო“ (ფუტკარაძე, 2013: 42).

საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ თამარი ბრძოლის წინ გზას ულოცავდა მეომრებს, უფალს შეავედრებდა ჯარს, თავად კი დღე-ღამე ტამარში ლოცულობდა, უფალს სამშობლოს ხსნას შესთხოვდა. ტაოკლარჯელთა ისტორიულ მეხსიერებას დღემდე შემორჩა მლოცველი, მავედრებელი მეფის სახე. ამაზე მოვითხრობს ტაოში შემორჩენილი ერთ-ერთი თქმულება-გადმოცემა. ტაო ხშირად იყო მტერთა სათარემო კუთხე. ერთხელ თამარ მეფე მიშველებია ადგილობრივ ერისთავ კავკასიძეებს... ჯარს ქუაბაგის ხევში სიარული გასჭირვებია. ციცაბო ფერდობები ქვავენარი ყოფილა და ქვები ცვიოდა. თამარი წინამძღოლობდა თურმე ჯარს. სოფელ პარისხევისკენ რომ მიდიოდნენ, დაღმართში ჩამოსვლისას ქვები აგორებულა. უცბად მთელი კლდე დაშლილა და აგორებულა მოზრდილი ბეღლის ოდენა ორი ქუა. „თამარ დედოფალმა შეშინდა, ჯარი უნდა გემიჯღუროსო? და ღმერთ შეეხუეწა, ლოცვა დეიწყო: - ღმერთო, დიდო გამჩენელო ჩვენო, შეგვიბრალე, ე ქუები მან დააყენე, ესენი მშვიდობიანად გამაბრუნებე, დიდო გამჩენელო, შენ გეხვეწებო. ღმერთმა უსმინა თამარ დედოფალსა, ქუები ადგილზე დადგა, ორი ბეღლინერთი ქვა კონჭოხის თავიდან მოწყვეტილი, ადგილზე დაყენდა, აღარ გამოგორდა. დღესაც იქა დგას; არვინ იცის, რა აკავებს იმათა. დგას ასე ცარიელა, წინ არაფერი უდგია,

რამე არ იკავებს ამ ქუეხსა ღმერთის მეტი. გეიხედავ, დეინახავ ამ ქუეხსა კონჭოხის ქუედიამ კიხესავეთ დაკიდულ გვერდში და მიხდები, რა ძალა ჰქონია თამარ დედოფლის ლოცვასა“ (ფუტკარამე, მალაყამდე, 2014: 113).

ეროვნული მეხსიერების არაერთი რეალიაა შემორჩენილი ქართულ შელოცვებში, ზღაპრებში. დაცულია ქართული სიმღერები, რომლებიც სხვადასხვა ჟანრითაა წარმოდგენილი. გავრცელებულია საქორწილო მაყრული, ნადური, შრომითი, სატრფიალო სიმღერები, შაირები. მათი საშემსრულებლო რეპერტუარის გამორჩეული სიმღერებია: ჯინველო ნა-ნაიდა(ცეკვის თანხლებით); ელია, გოგო, ელია; გელინო, გელინო; პატარა გოგო დამეკარგა. გავრცელებული ცეკვებია: ხორუმი, დუზხორუმი, სიძის ხორუმი, ჯინველო ნანაიდა, წყვილთა ცეკვა თექოინი, შამილი, რაშაორერა (სიმღერის თანხლებით), ფერხული. საინტერესოა სამზარეულო. ჯერ ისევ მზადდება ქართული კერძები.

იქაურმა ქართველებმა კარგად იცოდნენ და დღესაც იციან, რომ მათი წინაპრები ქრისტიანები ყოფილან. 1874 წელს, გ. ყაზბეგმა იქ მოგზაურობისას, იმიერტაოში, პარხლის მიდამოებში აღმოაჩინა 80 ოჯახი ქართველი ფარული ქრისტიანისა (ყაზბეგი, 1995:147). ექ. თაყაიშვილიც საუბრობს ფარული ქრისტიანების შესახებ და ის სოფელ ხევეკსა და არმენხევს ასახელებს (თაყაიშვილი, 1991: 218).

ახლაც შემორჩენილია ფარული ქრისტიანობის შესახებ ცნობები: „უწინ შეღებვდენ კვერცხ, ხახვში, ლამაზათ შეღებვდა, გაყირმიზდებოდა“; „ქალები შეღებავდენ კვერცხ, მერე კვერცხებ ერთმანებ არტყამდენ, ვისი გატეხავდა“ (ფუტკარამე, 2017:42, 29).

ისტორიული მეხსიერება ჯერ კიდევ ასე თუ ისე შემონახულია, თუმცა თაობათა ცვლის პროცესის თანმდევა განსხვავებული მსოფლმხედველობა. მთავარია, რომ იქ ქართული ტოპონიმები თაობათა მეხსიერებაში დაცულია: ბარეთელთა, მერე, ბასილეთი, მარიაწმინდა// მამაწმინდა, გორგოწმინდა, ელიასხევი, ანდრიაწმინდა, ქვაბიკარი, უკანმერე, დიდმერე, ჩიტავრი, ტყემალათი, ირემეთი, ქავთარეთი, ცეცხლეთი, ბარდნალა, ცხრამუხლი, ნადარბაზევი, ნათელათი, მტრედავი...დაცულია მდინარის, ხეობის, ნაეკლესიარის, წყაროს, ნაციხართა სახელები.

ტაო-კლარჯეთის ქართული მოსახლეობის ეროვნული მეხსიერების განმსაზღვრელია ხალხური აღზრდის სისტემა, რომლის არაერთი ელემენტი ზოგადქართული ტრადიციის იდენტურია. როგორც წესი, ძველად ახალშობილს აკვანში ჩაწვენამდე ხოჭიჭში აწვენდნენ. კლარჯეთში ჩვენებურები „ბალულად იქმოდეს, საბნებში შახოვდეს, მერე გაგორაში ჩამოჰკიდვიდეს, არყევდეს, ან ყავარზე დააწვენენ, ხოჭიჭში შექავდნენ. თუ ტირალად, ერთ კვირაში აკვანში დააწვენდნენ. ტაოში ბავშვის ხეჭიჭში ჩაწვენა, აფხაზებს სცოდნიათ. იგი ხუთი ცალი ხიდან კეთდება და თოკითაა დაბმული რიტმელა“ (ჩელებამე, 2007:21). მოსახლეობამ შემოინახა ჩვენში მივიწყებული ახალშობილი ბავშვის აღსანიშნავად გამოყენებული ტერმინოლოგია - ბიჭი ბახალა და გოგო ბახალა, ბიჭი ანუ ღარჭი, გოგო ანუ ბგანო, გოგონა ანუ ბამბაშხალა, ღენჭი და სხვ.

საინტერესოა მშობიარობის შემდგომი პერიოდიც. როგორც წესი, „მელოგინისა და ბავშვის დაცვის მიზნით 40 დღე კარში არ გავლენ - მზე

(რძე) არ გექნებაო, მზე დეიკარგვისო“. ასევე, მოსახლეობაში შემონახულია ძიობის ტრადიციები.

მოსახლეობაში ახალშობილის ჭიპის მოჭრასთან, სახელის დარქმევის იღბლიანობასთან, პირველი კბილის ამოსვლასთან დაკავშირებული ტრადიციებიც შემორჩა. მაგალითად, ტაოში კბილის ამოსვლასთან დაკავშირებით მზადდებოდა რიტუალური კერძი კოლიო. ამავე მიზნით ზავშვის პერანგს „გაფხრეწდენ-ყველა კბილი ამუაო“. აღწერილ წესებს მოსახლეობა ძველ ტრადიციებს მიაწერს და მათ „ძველი დედაბრების ნაქნარებად“ მიიჩნევს (ჩელებაძე, 2013:13).

ზავშვის აღზრდასთან დაკავშირებული „საკვანო სიმღერები“, დედის „იავნანა“, შედარებით უკეთ შემოინახა კლარჯეთის მოსახლეობამ. ქართველი დედების ნამღერი „იავნანას“ მელოდია და სიტყვები ზავშვის გრძნობებზე მოქმედებდა, ამშვიდებდა მას და თანდათან აჩვევდა მშობლიურ დედა ენას, რაც შემდგომში ეროვნული იდენტობის მძლავრი საფუძველი ხდებოდა. აღსანიშნავია ქალებში ფარულად სამეტყველო „ჩიტის ენის“ დღემდე შემონახვაც.

ხალხური აღზრდის პრინციპები უწინარესად მომავალი თაობის ზნეობრიობას, ღვთის რწმენით აღზრდას, წარსული ისტორიული მეხსიერების დაცვას (ქართული კულტურული მემკვიდრეობის გაცნობასა და პატივისცემას, ცალკეული ისტორიული ნარატივის ცოდნას და სხვ.) ემსახურებოდა. სწორედ ამ გზით შეძლო ტაო-კლარჯეთის მოსახლეობამ თავისი ეთნიკური კულტურის არაერთი ელემენტის დღემდე მოტანა, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა ეროვნული მეხსიერების სიმტკიცემ და პატრიოტიზმმა, ქართული მოსახლეობის კომპაქტურმა დასახლებამ და შიდაეთნიკურმა ქორწინებამ, საქართველოსთან მუდმივმა კონტაქტებმა, იქ არსებული მდიდარი მატერიალური კულტურის ძეგლებისადმი ფაქიზმა დამოკიდებულებამ და ა.შ.

როგორც ცნობილია, საქორწინო ტრადიცია, როგორც თანამედროვე საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, იმავდროულად წარმოადგენს ეროვნული იდენტობის დაცვა-განმტკიცების პროცესის ერთ-ერთ ძირითად ელემენტსაც. ტრადიციული საქორწინო ინსტიტუტის ზოგადი სურათი გვიჩვენებს, რომ ტაო-კლარჯეთის სოფლად შენარჩუნდა დადგენილი მორალურ-ეთიკური ნორმები, სოციალურ-ეკონომიკური პრინციპები, რაზეც ხატოვნად ამბობენ - „სამიგველი თუ არ აქვს, ქალი არ მიიციემაო“. ქორწინების ინსტიტუტის მოდერნიზების მიუხედავად (შერეული ქორწინების გავრცელება, ეგზოგამიურობის ტრადიციის თანდათანობითი მოშლა შიდა ქართულ სივრცეში), ძირითადად შენარჩუნდა ზოგადქართული ქორწინების ძირითადი სახე. ეროვნული მეხსიერების სიმტკიცის მაჩვენებელია ელჩისა და მაჭანკლის ადრეული ფორმებით ფუნქციონირება. კერძოდ, თუ ელჩი სიტყვის გატანას ვერ მოახერხებდა, მაშინ აგზავნიდნენ მაჭანკალს, იგივე „სიტყვის მწიკბელს“ (ჩელებაძე, 2015:36).

ტრადიციულად მიღებული იყო სასიძოს ოჯახის მიერ შუამთობის დღესასწაულზე საპატარძლოს მიპატიჟების წესი. აჭარის მსგავსად, მარიობის დღესასწაულზე დანიშნული საპატარძლო ძმას თეთრი ცხენით



და ლამბეზით გაჩირაღდებული აჰყავდა იალაღებზე (ჩელეზაძე, 2007:43).

მექორწილე მხარეები დიდი ხნით ადრე ემზადებოდნენ იმისთვის, რათა საქორწილო სუფრა მდიდარი და მრავალფეროვანი ყოფილიყო. სუფრას ამშვენებდა ხშიადი პური, ბულდაჲ პური და კოკოებივით ანუ კოკრებივით გამომცხვარი მჭადი. ამ დღისთვის მზადდებოდა სხვადასხვა სახის ხორციანი თუ ბოსტნეულის კერძი. სუფრას „მომტანებელი სუფრის“ მამაკაცები ემსახურებოდნენ. მაგალითად, შავშეთში მათ ასე მიუმღერებდნენ: „მოლა, მოლა, პური მეგვიტანეო, იემეგი მოგვიტანეო“ (ჩელეზაძე, 2013:51). საპატარძლოს ოჯახში მისული მაყრები ასაჩუქრებდნენ დედოფალს, რომელიც თავდახრილი სტუმრებს ხელს ჩამოართმევდა და თავადაც ასაჩუქრებდა მათ შალის წინდებით, თავსაფრითა და თათმანებით - ხელთათმანებით. დედოფლის სახლიდან გამოსვლისას იცოდნენ კარების დაკეტვა. ძმა ანბიძა დაჯდებოდა სკივრზე და იტყოდა, მძიმეა, ვერ აგვიწვია, არ დგებო და ამისთვის მას მამამთილი ფულს უხდიდა. პატარძლის ძმა ფულს ითხოვდა იმისთვისაც, რომ მამამთილის მიერ მოტანილი წითელი ქემერი//ქამარი თითქოსდა დედოფალს წელზე არ წვდებოდა. ამის შემდეგ იგი დედოფალს სკივირიდან წამოაყენებდა, ხელმოკიდებულს წაიყვანდა და ცხენზე შესვამდა, შემდეგ კი სიძის სახლის კარებამდე მიაცილებდა, სადაც მუხიკით ანუ მუსიკით ხვდებოდნენ. ეს წესი წააგავს კარდასამყრელოსთან დაკავშირებულ ტრადიციულ სიმბოლოურ დავას, რომლის შემდეგაც მამამთილს გარეთ გამოჰყავდა დედოფალი. გარდა ამისა, დედოფლის მაყარი მამამთილს ართმევდა ფულს, რომელსაც „გზიფარაჲ“ ეწოდება. შავშეთში ამ დროს მაყრები მიუმღერებდნენ დედოფალს: „წამომეყ გოგო წამომეყ, არ წამომეყვი რაი გინდა“ და ა.შ. (ჩელეზაძე, 2013:11).

შავშურ-კლარჯული ქორწილის განსაკუთრებულობას ისიც უწყობდა ხელს, რომ იქ, ტაოსაგან განსხვავებით, მამაკაცთა და ქალთა პურობა ერთ ოთახში იყო, სადაც „ერთ ოდაში კაცები ერთ რიგში, ერთში ქალები“ ისხდნენ, შემდეგ კი ცალ-ცალკე მღეროდნენ და ფერხულობდნენ.

ქორწილის შემდგომი საფეხური მოყვრებში სიძის პირველ სტუმრობასთან არის დაკავშირებული. ტაოში ეს ვიზიტი გაცილებით ადრე - ქორწილიდან მესამე დღეს ეწყობოდა, ვიდრე შავშეთ-კლარჯეთში. ტაოში სიძის პირველ სტუმრობას „სიზიობა“ ეწოდება. მას მისაკითხად ქადა მიჰქონდა, პერანგით ასაჩუქრებდა სიმამრსა და სიდედრს და იმავე დღეს უკან ბრუნდებოდა (ჩელეზაძე, 2013:38). როგორც ცნობილია, მთელ საქართველოში ყველა დიდ სადღესასწაულო სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ქადა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კლარჯეთშიც აუცილებლობას წარმოადგენდა სიძის მიერ ქადის მირთმევის წესი, რაც მისი რიტუალური მნიშვნელობით აიხსნება. ეს წესი დღემდეა შემონახული შავშეთის მოსახლეობაში, რომლის დროსაც მიჰქონდათ დოდოფლის ქადა, ქადა, ყეთმერი და მას ტრადიციულად მეზობლებს დაურიგებდნენ. წესისამებრ, სიდედრიც „ჩუუსხამდა ქადას“, რომელსაც სიძის ქადა ჰქვია. საგულისხმოა, რომ ხევსურებში ვაჟის მხარეს ყოველ ახალ წელს უნდა მიეკითხა დანიშნული სარძლოსთვის საახალწლო ქადა-პური, რასაც ბედისკვერს ეძახდნენ. ამდენად, ქართულ საქორწინო ტრადიციაში ქადის

რიტუალური გამოყენება ტაო-კლარჯეთის მოსახლეობამ „დედოფლის ქადისა“ და „სიძის ქადის“ სახით შემოინახა (ჩელებაძე, 2013:19).

საკმაოდ განსხვავებულია ზედა მაჭახელში შემორჩენილი შემდეგი ტრადიცია: მე-40 დღეს გათხოვილი ქალი მარტო მიდიოდა თავის მშობლებთან, რასაც ფეხნაქცევად//ფეხშექცეულად მისვლა ეწოდება. პარალელურად, გვხვდება ტერმინი ფეხისაკოცნელად (ფუტკარაძე, 2023: 235). დაახლოებით 40 დღის შემდეგ (ან მე-15 დღეს) აწყობდნენ სიძის სტუმრობას ანუ ნეფეს დაპაიჯნას, რომელსაც სხვადასხვაგვარ გამოცდასაც უტარებდნენ. მაგალითად, „წაბისკვედენ“ და ა.შ. (მაღაყმაძე, ფუტკარაძე, ჩელებაძე, 2023:270). ასევე, საინტერესოა იმერხეველების მიერ ერთგვარი გამოცდის მოწყობაც, რომლის დროსაც მას „ეწი-ეწის“ აყვირებენ (ფუტკარაძე, 1993:452). ამ ტრადიციის საინტერესო ვარიანტებია შემონახული ქართველ მუჰაჯირებს შორისაც.

ქორწილიდან გარკვეული დროის შემდეგ მშობლების მიერ „სადილის მიტანის“ ტრადიციის კვალიც იკვეთება ტაო-კლარჯეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში (შდრ. ბექაია, 1974:71; ჩელებაძე, 2007:24). ამ ჩვეულების აღმნიშვნელი სახელწოდება ტაოში ვერ დავადასტურეთ, თუმცა ჩანს, რომ იგი ქორწილის შემდგომ სიზიობისა (ტაო) და ფეხნაქცევად მისვლის (შავშეთ-კლარჯეთი) ტრადიციის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა. მაგალითად, ქართველ მუჰაჯირებში დედას შვილთან მიჰქონდა ხაჭაპურები, „რომლის შიგნით იყო კვერცხები და ესაა ძღვენი“, რასაც „სადილის მიტანის“ მნიშვნელობით ზღვენის//ძღვენის მიტანას უწოდებენ (ჩელებაძე, 2015:27). საყურადღებოა, რომ აღნიშნული ჩვეულების ზოგად არსს გვიჩვენებს კლარჯეთში ჩაწერილი მასალაც - „ანამს მუუსლელი იმ სახლში პურით ვერ გაძღებო“ (ჩელებაძე, 2013:34).

სამეურნეო კულტურის არაერთი საყურადღებო ტრადიცია შემოინახა ტაო-კლარჯეთის მოსახლეობამ. ესაა ტერასული მიწათმოქმედება, ვაზის მოვლისა და მისი პროდუქტების გამოყენების პრაქტიკა, მეფუტკრეობასთან დაკავშირებული მდიდარი გამოცდილების შემონახვა და სხვა მრავალი. რაც შეეხება მესაქონლეობასთან დაკავშირებულ ტრადიციულ სამეურნეო საქმიანობას, აჭარის მსგავსად, ყოფაში ფართოდაა გავრცელებული ალპური მესაქონლეობის რთული ფორმაც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ალპურ მესაქონლეობაში, სადაც მემთევრად ძირითადად ქალები გვევლინებიან, მემთევრობის დასაწყისად დვარულას-მხალის კრეფის სეზონი ითვლება, დასასრულად კი სათოვლია ყვავილის ამოსვლა, რაც თოვლის მოსვლის მაუწყებელია. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ სათოვლია ყვავილის - ანუ შამორთი ყვავილის სახელ უკავშირდება ჭოროხისპირეთის გარკვეულ ნაწილში მემთევრების სახელი- მემორთეები (მაღაყმაძე, ფუტკარაძე, ჩელებაძე, 2023:271). ყოფაში დამოწმდა პოპულარული სამზარეულოს კერძის-ხაჭაპურის ადრინდელი სახელწოდება - ხაჭოპური, რომელიც მათივე განმარტებით ხაჭოყველისგან მზადდება. ასევე, საინტერესოა საქონლის აბარებასთან დაკავშირებული ტერმინი მინდო. იგი ჰქვია იმ ადამიანს, რომელიც თავის საქონელს ვინმეს მიანდობდა ანუ მიაბარებდა. ერთი შეხედვით ეს მარტივი სათემო-სამეზობლო ურთიერთობები ჩვე-

ნებურთა სამეურნეო კავშირის განმტკიცებასთან ერთად მათ დაახლოება-დანათესავეებასაც უწყობდა ხელს.

ეროვნული კონსოლიდაციის სიმტკიცის გამორჩეული მაგალითია ქოროხისპირელთა სახალხო ხასიათის სახეობო დღესასწაული შუამთობა-მარიობა, რომელიც მოსახლეობის ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმის საიმედო საყრდენად იქცა. საგულისხმოა, რომ ტრადიციულად, საერთო სახალხო დღესასწაულზე მიღებული იყო სასიძოს ოჯახის მიერ საპატარძლოს მიპატიჟების წესი. აჭარის მსგავსად, მარიობის დღესასწაულზე დანიშნული საპატარძლო ძმას თეთრი ცხენით და ლამბებით გაჩირადნებული აპყავდა იალაღებზე (ჩელებაძე, 2007:17).

როგორც ცნობილია, მშობლიური ენისა და კულტურული ტრადიციების გვერდით, ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის რელიგიური მრწამსი ყალიბდებოდა ისლამურ გარემოცვაში. აღნიშნულის მიუხედავად, ჩვენებურებმა შეძლეს ეროვნული მეხსიერების დაცვა-განმტკიცება არა მარტო ადრექრისტიანული, არამედ ქრისტიანული ხასიათის საოჯახო თუ სასოფლო წესების ცალკეული ელემენტის შემონახულობის გზითაც კი (პატივისცემა ქრისტიანული ძეგლების მიმართ, შელოცვების ხასიათი, საღვთოს შესაწირავი, რიტუალური სანთელი, ხალხური კალენდარი, შესაწირავები და სხვ.).

ჩვენებურების კონსოლიდაციას განამტკიცებდა ეროვნულ მეხსიერებაში ღრმად დაუნჯებული საერთო ისტორიული წარსულის, სიმბოლოების, წეს-ჩვეულებების შემონახვა, რაც გვეხმარება მივიწყებული ქართული ტრადიციების სწორად აღქმასა და აღდგენაში, მათ ინტერპრეტაციაში, საზოგადოების არქაიზაციის წარმოჩენაში.

როგორც აღვნიშნეთ, ეროვნული მეხსიერების დაცვა-შენახვა სამომავლოდ მის არსებობასაც გულისხმობს. ამ კუთხითაც აუცილებელია კონკრეტული ამოცანების, რეკომენდაციების შემუშავება-შეთავაზება. აღნიშნულთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი აქტივობები:

1. ხშირი, სისტემატური და მჭიდრო ურთიერთობები იქაურ საზოგადოებრივ ჯგუფებთან; საჯარო შეხვედრები, რომლის დროსაც მოსახერხებელია ეროვნული კუთხით შერჩეული საკითხების პოპულარიზაცია.
2. ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება (მაგალითად, ბერიკაობა და სხვა).
3. იქაური სალოცავების მონახულება, მცირე საცნობარო ბუკლეტის მომზადება ქართულ-თურქულ ენაზე, მისი გავრცელება (ფაქტიურად, სწორად მოყოლილი ისტორია).
4. საშემსრულებლო ჯგუფების მიერ ერთობლივი სადამოების ჩატარება.
5. ტაო-კლარჯეთის კუთხიდან გამოსული მწერლების შესახებ საუბარი, მათი შემოქმედების გაცნობა იქაური საზოგადოებისათვის.
6. ტაო-კლარჯეთის თემატიკაზე გადაღებული დოკუმენტური ფილმების გაცნობა იქაური საზოგადოებისათვის შეხვედრების დროს.
7. საზაფხულო სკოლების მოწყობა, მოსწავლეების ჩამოყვანა.
8. საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო სივრცით სპეციალური გადაცემების მომზადება.

## დასკვნა

ამრიგად, ეროვნული მეხსიერების არაერთი საინტერესო ასპექტი

იკვეთება ტაო-კლარჯეთში. საკითხის ამ კუთხით შესწავლა მნიშვნელოვან წარმოდგენას გვიქმნის და სახასიათო პორტრეტს გვიხატავს ტაო-კლარჯეთის კუთხისას. იმავდროულად, აუცილებელია ფიქრი და გზების ძიება გადარჩენილის შესანარჩუნებლად, რაც დღეს მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

bekaia, m. (1974). *dzveli da axali sakortsino traditsiebi acharashi*. batumi. (ბექაია, მ.(1974). *ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში*. ბათუმი.)

taqaishvili, e. (1991). *samsulmano sakartvelo. krebuli "dabruneba" (emigrantuli nashromebi)*. tbilisi. (თაყაიშვილი, ექ. (1991). *სამუსლიმანო საქართველო. კრებული „დაბრუნება“ (ემიგრანტული ნაშრომები)*. თბილისი.)

malaqmadze, r. putkaradze, e. chelebadze, n. (2023). *zeda machaxeli (etnologiur-dialektologiuri shestsavlis zogierti aspekti)*. istoria, arkeologia, etnologia. X. gori. (მალაყმაძე, რ. ფუტკარაძე, ე. ჩელებაძე, ნ. (2023). *ზედა მაჭახელი (ეთნოლოგიურ-დიალექტოლოგიური შესწავლის ზოგიერთი ასპექტი)*. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, X. გორი.)

putkaradze, sh. (1993). *chveneburebis kartuli. tsigni pirveli*. batumi. (ფუტკარაძე, შ. (1993). *ჩვენებურების ქართული. წიგნი პირველი*. ბათუმი.)

Putkaradze, sh. Malaqmadze, r. (2014). *chveneburebis legendebshi gatsotsxlebuli tamari*. Gamonatlevi. I. batumi. (ფუტკარაძე, შ. მალაყმაძე, რ. (2014). *ჩვენებურების ლეგენდებში გაცოცხლებული თამარი*. გამონათლევნი. I. ბათუმი.)

putkaradze, e (2023). *sakortsino leqsika da xatovani tkmebi tao-klarjulshi. kartveluri memkvidreoba*. 27-e. kutaisi. (ფუტკარაძე, ე. (2023). *საქორწინო ლექსიკა და ხატოვანი თქმები ტაო-კლარჯულში. ქართველური მემკვიდრეობა*. 27-ე, ქუთაისი.)

putkaradze, e. (2013). *ekspeditsiis masalebi. imerxevi. piradi arkivi*. batumi. (ფუტკარაძე, ე. (2013). *ექსპედიციის მასალები. იმერხევი. პირადი არქივი*. ბათუმი.)

putkaradze, e.(2014). *ekspeditsiis masalebi, amiertao. piradi arkivi*. batumi. (ფუტკარაძე, ე. (2014). *ექსპედიციის მასალები. ამიერტაო, პირადი არქივი*, ბათუმი.)

Putkaradze, e. (2017). *ekspeditsiis masalebi, devskeli, piradi arkivi*. batumi. (ფუტკარაძე, ე. (2017). *ექსპედიციის მასალები. დევსქელი. პირადი არქივი*. ბათუმი.)

qazbegi, g. (1995). *sami tve turketis sakartveloshi*. batumi. (ყაზბეგი, გ. (1995). *სამი თვე თურქეთის საქართველოში*. ბათუმი.)

chelebadze, n. (2007). *ekspeditsiis masalebi*. batumi. (ჩელებაძე, ნ. (2007). *ექსპედიციის მასალები*. ბათუმი.)

chelebadze, n. (2013). *ekspeditsiis masalebi*. batumi. (ჩელებაძე, ნ. (2013). *ექსპედიციის მასალები*. ბათუმი.)

chelebadze, n. (2015). *ekspeditsiis masalebi*. batumi. (ჩელებაძე, ნ. (2015). *ექსპედიციის მასალები*. ბათუმი.)